

შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიას

სენატის

დადგენილება №38

22 აპრილი 2019 წ.

ახალგაზრდა ლიდერთა სკოლის დებულება

შემუშავებულია:

შემუშავებულია უს ჯორჯიას ბიზნესის
ადმინისტრირების ფაკულტეტის საბჭოს მიერ
2019 წლის 28 იანვარი ოქმი №2

დამტკიცებულია:

დამტკიცებულია უს ჯორჯიას რექტორის
2019 წლის 28 იანვარი №5 ბრძანებით

ცვლილებები:

უს ჯორჯიას სენატის 2019 წლის 22 აპრილი
ოქმი N5 (დადგენილება N38)

თბილისი

ახალგაზრდა ლიდერთა სკოლის დებულება

მუხლი 1. დებულების მოქმედების სფერო

1.1 წინამდებარე დებულება განსაზღვრავს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიას ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის ახალგაზრდა ლიდერთა სკოლის მიზნებსა და ამოცანებს, საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, სტრუქტურას და სკოლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

1.2. დებულებას შეიმუშავებს მისი ხელმძღვანელი და განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს, რომელიც დებულებას დასამტკიცებლად გადასცემს შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიას სენატს.

მუხლი 2. ახალგაზრდა ლიდერთა სკოლა

2.1 ახალგაზრდა ლიდერთა სკოლა (შემდგომში - სკოლა) არის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის საგანმანათლებლო და პრაქტიკული მიზნებისთვის შექმნილი სკოლა, რომელიც ახორციელებს საგანმანათლებლო და პრაქტიკული საქმიანობას შემდეგი მიმართულებით:

- ა) მოზარდების ლიდერული პოტენციალის გამოვლენა;
- ბ) მოზარდებში მართველობითი საქმიანობის უნარების და ლიდერობის მოთხოვნილებების ჩამოყალიბება;
- გ) მოზარდების მიერ საკუთარი ორგანიზაციული საქმიანობის პოტენციალის ასამაღლებლად საჭირო სპეციფიკური ცოდნის, მეთოდებისა და ფორმების სწავლება;
- დ) საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობის მოტივაციის ფორმირება;
- ე) მოზარდებთან ერთად მათი ლიდერული პოტენციალის რეალიზაციის სფეროს განსაზღვრა;
- ვ) მოზარდების მხირად დამოუკიდებლად და სხვა სუბიექტებთან ერთობლივად სხვადასხვა სოციალური პრობლემების გადაწყვეტისთვის მზადყოფნის ფორმირება;
- ზ) ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის მომავალი სტუდენტთა ბაზის შექმნა;
- თ) „ბიზნესის ადმინისტრირების მენეჯერის“, როგორც პროფესიის პოპულარიზაცია;
- ი) საშუალო სკოლის მოსწავლეთა სამეწარმეო განათლების დონის ფორმირება და ამაღლება;
- კ) სკოლის დაკავშირება უცხო ქვეყნის სხვადასხვა უნივერსიტეტების და არასამეწარმეო კომერციული პირების ანალოგიური მიზნებისთვის მოქმედ სკოლებთან;
- ლ) სოციალური მედიის საშუალებით სკოლის მუშაობის პოპულარიზაცია;
- მ) მოსწავლეების პიროვნული განვითარების და პროფესიული ორიენტაციისთვის შესაბამისი პირობების შექმნა;

ნ) კონფერენციების, ოლიმპიადების და კონკურსების ორგანიზების გზით უმაღლესი სასწავლებლი ჯორჯიას ცნობადობის ამაღლება.

2.2 ახალგაზრდა ლიდერთა სკოლა არის კრეატიული, თავისუფალი და ლიდერული აზროვნების პლატფორმა.

სკოლის მისიაა- მოსწავლეებში სოციალური აქტივობის ფორმირება, ლიდერული უნარების განვითარება, თვითორგანიზაციის ჩვევების სწავლება, ქართული მეწარმეობის კულტურისა და მენტალობის ფორმირების ხელშეწყობა სამეწარმეო განათლების გზით, მყარი წარმოდგენის ჩამოყალიბება მომავალ პროფესიაზე და სწორი და გააზრებული არჩევანის გაკეთებაში დახმარება. სკოლის მისიაა ხელი შეუწყოს თავისუფალი, კონკურენტუნარიანი, მიზანმიმართული ახალი საქმიანი თაობის აღზრდას, დაეხმაროს თითოეულ მოზარდს შექმნას საკუთარი წარმატების ისტორია.

მუხლი 3. სკოლის ფილოსოფია

3.1. სკოლის ფილოსოფია ეფუძნება მოსწავლეთა მოტივაციურ, კოგნიტურ საქმიანობას და პიროვნული კრიტერიუმების ფორმირების ხელშეწყობას, რომელიც ემყარება სოციალურ თანამშრომლობას.

მოტივაციური კრიტერიუმი ასახავს სამეწარმეო საქმიანობისადმი ინტერესს, სურვილს მომავალში დაკავდეს სამეწარმეო საქმით, პოზიტიური დამოკიდებულებით მეწარმეობისადმი. მოსწავლე ისწავლის მიზანდასახულობას, ახალი მიზნების დასახვას, ამ მიზნების მიღწევის გზების დაგეგმვას, საკუთარი დროის დაგეგმვასა და ეფექტურ განკარგვას, საკუთარი ქმედებების ადექვატურ შეფასებას და მასში კორექტივების შეტანას.

კოგნიტური კრიტერიუმი გულისხმობს იმ ცოდნის დაუფლებას, რომელიც აუცილებელია სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად. აქ იგულისხმება ტერმინებისა და ცნებების, განსაზღვრებების ცოდნა ლიდერობაში, ეკონომიკაში, მარკეტინგში, მენეჯმენტში, სამართალში და ფინანსებში.

საქმიანობითი კრიტერიუმი ახასიათებს სამეწარმეო უნარებისა და ჩვევების ფორმირებას, რომელიც გამოიხატება ამოცანებისა და დავალებების შესრულების ხარისხში. მოსწავლე ისწავლის საკუთარი პოზიციის, როგორც ლიდერის პოზიციის ფორმულირებას, სხვა პარტნიორების პოზიციებთან კოორდინირებას და საერთო გადაწყვეტილების ერთობლივად შემუშავებას, მონოლოგიკური გამოსვლის მომზადებას, სხვადასხვა კომუნიკაციური ამოცანების გადაწყვეტას, სოციუმში არსებული მორალური და ზნეობრივი ნორმებისა და პრინციპებს სისტემაში ორიენტაციას

პიროვნული კრიტერიუმი განსაზღვრავს პიროვნებისათვის აუცილებელ მნიშვნელოვან პროფესიულ თვისებებს, რომელიც აუცილებელია სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებლად.

აქ იგულისხმება მოსწავლეთა ისეთი საქმიანი უნარები, როგორცაა ინიციატივანობა, მოხერხებულება, კომუნიკაბელურობა, მზადყოფნა რისკისთვის, განსხვავებული აზრის პატივისცემა, კონსტრუქციული დიალოგის უნარი.

3.2. სკოლის, როგორც მეწარმეობის კომპეტენციის განვითარების პროცესის მოდელი უნდა ეფუძნებოდეს სოციალურ თანამშრომლობას, რომელშიც მოიაზრება მოსწავლეები, უმაღლესი სასწავლებლის აკადემიური პერსონალი, მეწარმეები, სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მშობლები.

სკოლის ფილოსოფია ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- ღიაობა
- სამეწარმეო ლიდერობა
- უწყვეტი განათლება
- პარტნიორობა, როგორც თანამშრომლების ფორმა

სკოლის ფილოსოფია მიმართულია მოზარდებში ისეთი ზოგადი თვისებებისა და უნარების განვითარებაზე, როგორც არის თავდაჯერებულება, კომუნიკაბელურობა, საკუთარ თავთან კონფლიქტის გადაჭრა, დამოუკიდებულება, ყურადღება, თვით ორგანიზაცია.

სკოლის ფილოსოფია გულისხმობს ზოგადი თვისებების და უნარების გამოყენების საფუძველზე ლიდერობის, მოზარდის ბიზნეს აზროვნების, სამეწარმეო ინიციატივის და სამეწარმეო უნარ-ჩვევების საფუძველების ფორმირების ხელშეწყობას.

მუხლი 4. სკოლის მიზნები და ამოცანები

4.1. სკოლის მიზანია მოსწავლეთა ეკონომიკური და ფინანსური წიგნიერების დონის ამაღლება, ლიდერობის და სამეწარმეო უნარების დაუფლების გზით თვითრეალიზაციის მოტივაციის ამაღლება, სამეწარმეო საქმიანობის არსის გაცნობიერება და პოპულარიზაცია, სამეწარმეო განათლების დონის ამაღლება და წარმატებული მეწარმეობის გამოცდილების გაზიარება.

4.2. სკოლის ამოცანებია:

- ა) მომავალ სტუდენტთა ბაზის შექმნა;
- ბ) მუდმივი კავშირი არსებული ბაზის წევრებთან, უმაღლეს სასწავლებელში განსახორციელებელ ღონისძიებებში მათი ჩართულობის უზრუნველყოფა;
- გ) ღონისძიებების დაგეგმვა, რომელიც მიმართული იქნება სკოლის საქმიანობის პოპულარიზაციისკენ;
- დ) წარმატებული ქართველი მეწარმეების პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება;
- ე) სამეწარმეო საქმიანობისადმი შემეცნებითი ინტერესის ამაღლება და სტიმულირება, უგროსკლასელთა შემოქმედებითი უნარების განვითარება;

- ვ) მოსწავლეთა შორის პერსპექტიული და ლიდერული პოტენციალის მქონე სკოლის მსმენელების გამოვლენა;
- ზ) სამეწარმეო კულტურის ღირებულების პოპულარიზაცია;
- თ) მოსწავლეებისათვის, რომელთაც აქვთ სამეწარმეო საქმიანობის გზით თვითრეალიზაციის მიდრეკილება, შესაბამისი გარემოს შექმნა ეფექტური საგანმანათლებლო და პროფესიული ტრეკტორიის მიზანმიმართული ფორმირების გზით;
- ი) მოსწავლეთა პიროვნული, ინტელექტუალური და სოციალური მზაობის უზრუნველყოფა არსებულ გამოწვევებთან მიმართებაში;
- კ) სკოლის ონლაინ - პლატფორმის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მთელი საქართველოს მასშტაბით მოსწავლეთა სკოლაში ჩართულობას;
- ლ) მოსწავლეთა პიროვნული (ცოდნა, უნარები, ჩვევები,) და სოციალური (ორგანიზაცია, ლიდერული, გუნდური მუშაობა) კომპეტენციების ფორმირების ხელშეწყობა;
- მ) სწავლების ფორმებისა და მეთოდების (ლექცია, საქმიანი და როლური თამაშები, მასტერკლასები, კეისების ამოხსნა, გონებრივი იერიში, ექსკურსიები, კონკურსები, ოლიმპიადები) მრავალფეროვნების საფუძველზე, პიროვნული თვითრეალიზაციისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ფორმირება;
- ნ) მოზარდებში ეკონომიკური და ფინანსური ინტელექტის ფორმირება და ზრდა;
- ო) საჯარო გამოსვლისა და ორატორული ხელოვნების უნარების ფორმირება;
- პ) ემოციური ინტელექტის არსსა და რაობაზე მოსწავლეთათვის წარმოდგენის შექმნა;
- ჟ) კრიტიკული აზროვნების, როგორც მნიშვნელოვანი უნარის ფორმირება.

მუხლი 5. სასწავლო პროცესი

- 5.1.** სკოლაში სწავლება ხორციელდება სასწავლო პროგრამის შესაბამისად, რომელიც მომზადებული და დამტკიცებულია დებულების შესაბამისად.
- 5.2.** სკოლის სასწავლო პროგრამას შეიმუშავებს მისი ხელმძღვანელი განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს.
- 5.3.** სკოლის სასწავლო პროგრამის გავლის თაობაზე სკოლის მსმენელს გადაეცემა სერტიფიკატი.
- 5.4.** სკოლის მსმენელი შეიძლება გახდეს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მე-8 -12 კლასის მოსწავლე სპეციალური რეგისტრაციის პროცედურის გავლის საფუძველზე.
- 5.5.** სკოლის მსმენელს უფლება აქვს:
 - ა) ისარგებლოს სკოლის სასწავლო მატერიალური ბაზით;
 - ბ) მოამზადოს სკოლის ფუნქციონირების სრულყოფასთან დაკავშირებული წინადადებები.
- 5.6.** სკოლის პერსონალს სასწავლო პროგრამის შესაბამისად, როგორც წესი წარმოადგენს ბიზნესადმინისტრირების ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი. ამასთან

დასაშვებია სასწავლო პროგრამის ცალკეული თემების გათვალისწინებით სკოლის მუშაობაში ჩართული იქნენ სხვადასხვა სფეროს ცნობილი სპეციალისტები , მეწარმეები და ბიზნესმენები.

სკოლის პერსონალს უფლება აქვს:

ა) მონაწილეობა მიიღოს სკოლის საქმიანობის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვასა და გადაწყვეტილებაში;

ბ) აკადემიური თავისუფლების პრინციპების გათვალისწინებით განსაზღვროს სწავლების ფორმები და მეთოდები;

გ) მოამზადოს და განსახილველად წარადგინოს სკოლის ფუნქციონირების სრულყოფასთან დაკავშირებული წინადადებები .

სკოლის პერსონალი ვალდებულია :

ა) მაღალ პროფესიონალურ დონეზე წარმართოს სასწავლო და მეთოდური სამუშაო;

ბ) უზრუნველყოს პედაგოგიური შრომის მაღალი ორგანიზაცია და კულტურა;

გ) მუდმივად აიმაღლოს თავისი პროფესიული კვალიფიკაცია.

მუხლი 6. სასწავლო პროცესის ორგანიზაცია

6.1. სასწავლო ჯგუფების რაოდენობა განისაზღვრება სწავლის მსურველთა რაოდენობის შესაბამისად.

6.2. სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ორ სემესტრად, სამ-სამი თვის განმავლობაში საშემოდგომო სემესტრი: ოქტომბერი - დეკემბერი

საგაზაფხულო სემესტრი: თებერვალი - აპრილი.

6.3. სასწავლო პროცესის ხანგრძლიობა 10 კვირაა, ყოველკვირეული დატვირთვა შეადგენს 2 საათს.

6.4. თითოეულ სასწავლო ჯგუფში მსმენელთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 15 მოსწავლეს.

6.5. სასწავლო პროგრამის ათვისების შემოწმება ხორციელდება ტესტირების ფორმით.

მუხლი 7. სკოლის მართვა

7.1. სკოლის მართვა ხორციელდება კოლეგიალური პრინციპით. სკოლის მართვის პროცესს ახორციელებს სკოლის დირექტორი, რომელსაც ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით ნიშნავს უსჯორჯიას რექტორი.

7.2. სკოლის დირექტორი, თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სკოლის დებულებით, ორგანიზაციას უწევს სასწავლო- აღმზრდელობით პროცესს, უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის ეფექტურობას, ადგენს სკოლის საქმიანობის პროგრამას და სკოლის დებულების პროექტს, წარადგენს წინადადებებს სკოლის პერსონალთან დაკავშირებით, ყოველი წლის ბოლოს ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს საქმიანობის წლიურ ანგარიშს.

მუხლი 8. სკოლის ქონება და ბიუჯეტი.

- 8.1.** სკოლა სარგებლობს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიას ქონებით, უმაღლესი სასწავლებლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;
- 8.2.** სკოლის დაფინანსების წესს განსაზღვრავს ფაკულტეტის საბჭო;
- 8.3.** სკოლის დაფინანსების დამატებითი წყარო შეიძლება იყოს გრანტები, შემოწირულობები და სხვა შემოსავლები, რომლებიც კანონით არის ნებადართული;
- 8.4.** სკოლის ფინანსების განკარგვა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიას წესდებით, ფაკულტეტის ბიუჯეტის შედგენის წესით და წინამდებარე დებულებით.

მუხლი 9. სკოლის გარდაქმნა და/ან გაუქმება

- 9.1.** სკოლის დებულებას ამტკიცებს უს ჯორჯიას სენატი.
- 9.2.** დებულებაში ცვლილებების და/ან დამატების შეტანის პროექტს შეიმუშავებს ლიდერთა სკოლის ხელმძღვანელი და წარადგენს ფაკულტეტის საბჭოში, რომელიც თავის მხრივ სკოლის დებულებას დასამტკიცებლად წარუდგენს უს ჯორჯიას სენატს.
- 9.3.** სკოლის გარდაქმნის და გაუქმების გადაწყვეტილებას იღებს შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიას სენატს.

სხდომის თავმჯდომარე:

სალომე პირველი

სხდომის მდივანი:

მაია ადვაძე